

სკრინინგის განცხადება

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. კურსების ტერიტორიაზე ი/მ ავთანდილ კვიციანი-ავტოგასამართი სადგურის (ნავთპროდუქტების საცავის) რეკონსტრუქცია-ექსპლოატაციის პროექტზე

შემსრულებელი: შპს „სამნი“

დირექტორი: თ. კეკელიძე
ტელ.: 5 91 15 72 72

ი/მ ავთანდილ კვიციანი

პ/ნ 60001006205
ტელ.: 593333902

ქუთაისი-2021

შინაარსი

1. შესავალი	3
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.	3
3. აგს-ის რეკონსტრუქციისა და დამხმარე სათავსების მშენებლობის პირობები.	10
4. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები	14
5. წყალმომარაგება კანალიზაცია	14
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ობიექტის რეკონსტრუქცია-ექსპლუატაციის პროცესში	17
6.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	17
6.2. ხმაურის ზემოქმედება.	18
6.3. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.....	18
6.4. ზემოქმედება ლანდშაფტზე.	19
6.5. ზემოქმედება წყლის რესურსებზე	19
6.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	20
6.7. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედება	20
6.8. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.	21
6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	22
6.10. კუმულაციური ზემოქმედება.	22
6.11. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	23
6.12. ავარიული რისკების მართვა.....	23
7. დანართები.....	26
დანართი1: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	26
დანართი 2. რეკონსტრუქციის პროექტი.....	27

1. შესავალი

ი/მ ავთანდილ კვიციანი (პ/ნ 60001006225) 2020 წლის 12 აგვისტოს შეიძინა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. კურსებში არსებული ავტოგასამართი სადგური ი/მ თამაზ ობოლაძისაგან (60001041390 (ობიექტს 2016 წლის 09 მარტს სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“)), რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (დანართი 1) (ნაკვეთის კოდი 39.07.26.114). ობიექტი განთავსებულია 600 მ² არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტი მოწყობილია 2011 წელს, აღარ შეესაბამება გზის ინფრასტრუქტურისათვის საჭირო მოთხოვნებს (არ არის მარკეტი, სველი წერტილები მოქალაქეებისათვის), მეწარმის მიერ გათვალისწინებულია ობიექტის რეკონსტრუქცია (არსებულ ორ ავზზე ორი ახალი ავზის დამატება, თითოეული 20მ³ მოცულობით) და დამხმარე სათავსების მშენებლობა, რაზედაც შედგენილი პროექტი შეთანხმებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასთან (დანართი 2). საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის და მეშვიდე მუხლის შესაბამისად საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

ოპერატორი კომპანია	ი/მ ავთანდილ კვიციანი
კომპანიის იურიდიული მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგანი
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურსები
საქმიანობის სახე	ნავთპროდუქტების რეალიზაცია
საკონტაქტო ტელეფონი	5 93 33 39 02
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72


2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.

ი/მ ავთანდილ კვიციანის ავტოგასამართი სადგური განთავსებულია თავისივე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 39.07.26.114), რომელიც მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. კურსების ტერიტორიაზე, ქუთაისი-ტყიბულის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს (სურათი 1).

ობიექტის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია N1 ნახაზზე.




სურათი 1. ავტოგასამართი სადგურის ხედი დასავლეთიდან



ნახაზი 1. საპროექტო ტერიტორიის განთავსების სიტუაციური გეგმა

ტერიტორიის კუთხეთა წვეროები დატანილია N2 ნახაზზე, ხოლო GPS კოორდინატები მოცემულია N2 ცხრილში.



ნახაზი 2. ობიექტის განთავსების ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია

ცხრილი 2. ტერიტორიის კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატები.

წვეროს ნომერი	X	Y
1	317937	4686842
2	317906	4686828
3	317907	4686821
4	317935	4686816
5	317944	4686840

ავტოგასამართი სადგური შედგება ორი მიწისქვეშა ავზისაგან :

N1 - ბენზინისათვის 6 000ლ (6მ³) ტევადობით;

N2 - დიზელისათვის 4 000ლ (4მ³) ტევადობით.

ავზები აღჭურვილია დამცავი სარქველებით, რომლებიც დამონტაჟებულია 2,5 მ სიმაღლის მილებზე (სურათი 2).

საწვავის გაცემა ხდება ორი სვეტიდან (სურათი 3).



სურათი 2. არსებული ავზების თავმორთულობა



სურათი 3.

ტერიტორიის გარშემო მოწყობილია ბეტონის წყალშემკრები არხები (სურათი 4), რომელთა მეშვეობით წყლები მიემართება სალექარში (სურათი 5).



სურათი 4. წყალშემკრები არხები




სურათი 5. ნავთპროდუქტების დამკერი

ავტოგასამართი სადგური დაშორებულია მდ.წყალწითელადას 50 მ-ით, ქუთაისი- ტყიბულის საავტომობილო გზიდან 12 მ-თ (ნახაზი 3). უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს - ავზების განთავსების ადგილიდან 40 მ-ს, საჩამომსხმელო სვეტიდან - 45მ-ს და ტერიტორიის საზღვრიდან - 25მ-ს (ნახაზი 4)



ნახაზი 3. საპროექტო ობიექტის განთავსება



ნახაზი 4. მანძილი აგს-დან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე

საპროექტო ობიექტის 500 მ-ან ზონაში განთავსებულია კერძო საკუთრების სასოფლოსამეურნეო მიწის ნაკვეთები. უშუალოდ აგს-ს ესაზღვრება N3 ცხრილში მოცემული ნაკვეთები(ნახაზი 5).

ცხრილი 3.

N	საკ.კოდი	დანიშნულება	ფართი,კვ.მ
1	39.07.26.012	თავისუფალი ტერიტორია	3075
2	დაურეგისტრირებელი	თავისუფალი ტერიტორია	--
3	39,07,26,136	საკარმიდამო	1700
4	39.07.26.211	საკარმიდამო	1167
5	39.07.25.024	სავარგული	2430



ნახაზი 5. აგს-ს მოსაზღვრედ არსებული ნაკვეთები.

3. აგს-ის რეკონსტრუქციისა და დამხმარე სათავსების მშენებლობის პირობები.

ობიექტის მფლობელის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განახორციელოს ობიექტის რეკონსტრუქცია (არსებულ ორ ავზზე ორი ახალი ავზის დამატება, თითოეული 20მ³ მოცულობით) და დამხმარე სათავსების (საწყობი, სახიფათო ნარჩენების სათავსო, მარკეტი) მშენებლობა, რაზეც შედგენილია პროექტი, რომელიც შეთანხმებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასთან (დანართი 2).

ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურული ელემენტები დატანილია ნახაზი 6-ზე და შედგება: საოპერატორო, სარეზერვუარო პარკი, ავტოცისტერნის პლატფორმა, საჩამომსხმელო სვეტი, სალექარი და დამხმარე სათავსოები.

აგს-ის რეკონსტრუქცია დაიწყება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ.

სარეზერვუარო პარკი მოიცავს ოთხ ჰორიზონტალურად განთავსებულ ავზს, რომელთაგან ორი, 6მ³ და 20 მ³ მოცულობით, განკუთვნილია ბენზინისათვის, ხოლო ორი, 4მ³ და 20მ³ მოცულობით, განკუთვნილია დიზელისათვის. რეზერვუარების ჯამური მოცულობა შეადგეს 50მ³ (ნახაზი 7).


ავტოგასამართი სადგურის საწვავით მომარაგება დაგეგმილია ავტოცისტერნების საშუალებით, რომლებიც განთავსდებიან ბაქანზე. ტერიტორია იქნება მობეტონებული. მოედნის პერიმეტრზე მოეწყობა არხი, რომელთა საშუალებითაც ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექები და ნავთობპროდუქტები შეიკრიბება და ჩაედინება სალექარში, საიდანაც გადავა საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხებში.

მიწისქვეშა რეზერვუარებიდან, საწვავი მიეწოდება საჩამომსხმელო სვეტებს. აგს-ზე მოეწყობა ერთი გასამართი სვეტი რვა „ფისტოლეტით“ (ოთხი ბენზინისათვის და ოთხი დიზელისათვის). წლიურად იგეგმება 800 000 ლ ბენზინისა და 1 000 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000


ქვეპროექტი

1. საპროექტო გეგმა
2. საპროექტო გეგმა
3. გეგმა
4. საპროექტო გეგმა
5. საპროექტო გეგმა
6. საპროექტო გეგმა



<p>საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000</p> <p>საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000</p> <p>საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000</p> <p>საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000</p>	
საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000	საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000
საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000	საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000
საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000	საპროექტო-კონსტრუქციული გეგმა № 1.000

ნახაზი 8. ჩამდინარე წყლების გამწმენდი



573010831007-122018
 შ.პ.ს. ა.ს.ს.
 21.10

უპირატესად
 1. ნაპირის დამცველი გეგმა-
 ხაზი უნდა შექმნილი იქნეს
 იმ ადგილას სადა
 ნაპირის დამცველი
 2. ნაპირის დამცველი უნდა
 შექმნილი იქნეს იმ
 ადგილას სადა
 ნაპირის დამცველი

შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია
შ.პ.ს.	დასახ.	სახელი	ფუნქცია

4. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები

დაგეგმილია აგს-ის ყოველდღიურად ფუნქციონირება, 365 დღე წელიწადში, 24 საათიანი რეჟიმით. ბიზნესგეგმის მიხედვით ნავარაუდებია წელიწადში 800 000 ლ ბენზინისა და 1 000 000 ლ დიზელის რეალიზაცია.

მომუშავეთა რაოდენობა იქნება 4 კაცი. რომელთაგან ერთი წარმოადგენს ობიექტის ადმინისტრაციას, ხოლო 3 თანამშრომელი განაწილებული იქნება ავტოგასამართ სადგურზე ცვლებში, ყოველდღიურად ერთი კაცი,

5. წყალმომარაგება კანალიზაცია

ობიექტის წყალმომარაგება დაგეგმილია მიწისქვესა ჰორიზონტის ჭიდან, რომელიც განთავსებულია შემდეგ კოორდინატზე X - 317942, Y - 4686840. ლიცენზიის მოსაპოვებლად განაცხადი წარდგენილის სსიპ წიაღისეროვნულ სააგენტოში. მიწისქვეშა წყლის გამოყენება დაგეგმილია საწარმოო და სამეურნეო მიზნებისათვის, სასმელი წყლი შეძენილი იქნება უახლოეს მარკეტებში.

წყალი გამოიყენება მუშა-მოსამსახურეთა, ასევე მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება მხოლოდ ტექნოლოგიურ მოედნზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ჩარეცხვის მიზნით. აღებული წყლის რაოდენობის აღრიცხვა განხორციელდება დამონტაჟებული მრიცხველის საშუალებით, სალიცენზიო პირობების შესაბამისად.

დღის განმავლობაში ობიექტის ტერიტორიაზე იქნება 2 თანამშრომელი, ობიექტზე არ არის გათვალისწინებული საშხაპე. მოწყობილი იქნება ტუალეტი და ხელსაბანი. თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება $2 \times 25 = 50$ ლ/დღე, $50 \times 365 = 18,25$ მ³/წელ. მოქალაქეთა სველი წერტილებით მომსახურებისათვის გათვალისწინებულია 200 ლ/დღეში წყლის გამოყენება, რაც წელიწადში შეადგენს 73 მ³-ს.

ობიექტის საყოფაცხოვრებო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 91,25 მ³/წელ.

საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება მოხდება ტექნოლოგიური მოედნის მოსარეცხად.

მოედნის რეცხვა მოხდება დღეში ერთჯერ. მოედნის ფართობი შეადგენს 40 მ²-ს. რეცხვა განხორციელდება კერხერით, რომლის წყლის ხარჯი შეადგენს წუთში 8 ლიტრს, მოედნის მოსარეცხად საჭიროა 4-5 წთ. შესაბამისად წყლის ხარჯი იქნება $5 \times 8 = 40$ ლ. $40 \times 365 = 14,6$ მ³/წელ.

ამდენად, სულ ობიექტის წყლის წლიური ხარჯი იქნება $14,6 + 91,25 = 105,85$ მ³.

რადგან, ობიექტის განთავსების ტერიტორიაზე არ არსებობს საკანალიზაციო ქსელი, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეკრება და შეგროვება გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოში. ორმოს საასენიზაციო მომსახურება მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

ტექნოლოგიური მოედნის ჩანარეცხი წყლისათვის ავტოგასამართზე მოწყობილია მექანიკური გამწმენდი ნაგებობის, ნავთობპროდუქტების დამჭერი (ნახაზი 8). რეკონსტრუქციის პირობებში განახლდება ტექნოლოგიური მოედნის საფარი, მოწესრიგდება წყლის შემკრები არხები, რომლითაც ჩამდინარე წყლები ჩაედინება ნავთობდამჭერში. გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში შემდეგ GPS კოორდინატებზე X-317878 ,Y-4686826.

სანიაღვრე არხი წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორიებიდან ატმოსფერული ნალექების წყლების შემკრებს და გამტარს. არხი არ არის კერძო მფლობელობაში. იგი ჩაედინება მდ.წყალწითელაში შემდეგ კოორდინატზე X -317780 Y -4686812. სანიაღვრე არხი და მდ.წყალწითელაში ჩაშვების წერტილები მოცემულია ნახაზზე N9 და სურათებზე 6. და 7.

ნახაზი N9. სანიაღვრე არხი





სურათი 6.



სურათი 7. სანიაღვრე არხის მდ.წყალწითელაში ჩაშვების ადგილი

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ობიექტის რეკონსტრუქცია- ექსპლუატაციის პროცესში

ობიექტის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პირობებში გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ხმაურის გავრცელებით; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკით; ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებით; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვ.

6.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

ობიექტის რეკონსტრუქციის დროს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელია მასალების შემოზიდვის, სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკის მუშაობის დროს ტერიტორიის ამტვერებით, გამონახობლებით. დაგეგმილი სამუშაოების მოცულობა იმდენად მცირეა, მძიმე ტექნიკის გამოყენება საჭირო იქნება მაქსიმუმ ორი დღით. სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოები შესაძლებელია გაგრძელდეს ერთ თვემდე. რეკონსტრუქციის პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

ობიექტის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელია მავნე აირების გამოყოფა ბენზინისა და დიზელის საწვავის მიღებისა და გაცემისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას დიზელისა და ბენზინის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს:

ა) 1,4 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ ბენზინის საწვავაზე;

ბ) 0,0025 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე.

ობიექტის ბიზნეს გეგმის შესაბამისად ნავარაუდებია წლიურად 800 000 ლ ბენზინის და 1 000 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

ბენზინისათვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 800\,000 \times 1,4 / 10^6 = 1,12 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 1,12 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0355 \text{ გ/წმ};$$

დიზელისათვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 1\,000\,000 \times 0,0025 / 10^6 = 0,0025 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 0,0025 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,00008 \text{ გ/წმ};$$

სულ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების წამური და წლიური რაოდენობები იქნება:

$$M = 0,0036 \text{ გ/წმ}$$

$$G = 1,1225 \text{ ტ/წელ.}$$

როგორც გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა მცირეა. ამასთანავე ქვეყნის მასშტაბით არსებული გამოცდილება ადასტურებს, რომ ანალოგიური ობიექტების ფუნქციონირებისას არ ხდება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა.

გასათვალისწინებელია, რომ ავზები აღჭურვილი იქნება დამცავი სარქველით.

6.2. ხმაურის ზემოქმედება.

რეკონსტრუქციის დროს ხმაური შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ტექნიკის მუშაობამ, მასალების შემოტანა განთავსებამ. ტექნიკა იმუშავებს 2 დღემდე დროით, ხმაური იქნება ერთჯერადი და დროში შეზღუდული, ამასთან სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში, ამდენად ხმაურის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

ავტოგასამართ სადგურზე არ არის გათვალისწინებული ხმაურწარმომქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსება და გამოყენება. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტის გადაადგილებით, საწვავის შემოტანა/შენახვისა და ავტომობილების გამართვის დროს.

რადგან ავტოგასამართი განთავსებულია ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის მიმდებარედ, ობიექტზე ავტომობილის გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ფონურ მდგომარეობაზე. მითუმეტეს, ტერიტორიაზე 10კმ/სთ–მდე შეზღუდული იქნება გადაადგილების სიჩქარე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება არ არის მოსალოდნელი.

6.3. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება

ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია/ექსპლუატაცია სატრანსპორტო ნაკადების გაზრდას არ გამოიწვევს, რადგან როგორც წესი გზის ინფრასტრუქტურით და სერვისით სარგებლობენ ავტომანქანები, რომლებიც ამ მიმართულებით გადაადგილდებიან.

რაც შეეხება საწვავის შემოტანას, დაგეგმილი წარმადობისა და ავზების მოცულობის შესაბამისად, ბენზინის საწვავის ავზების (თითოეულის) შევსება საჭიროა წელიწადში დაახლოებით 30–ჯერ, ხოლო დიზელის საწვავის ავზების (თითოეულის) - 40–ჯერ. ამდენად საწვავის მიღება–შენახვის ინტენსივობა შეადგენს წელიწადში მაქიმუმ 70–ს, თვეში საშუალოდ 6–გადაზიდვას (კვირაში ერთი ან ორი რეისი). აღნიშნული ინტენსივობა არ იქნება შესამჩნევი ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის და ვერ იქონიებს რაიმე გავლენას ქუთაისი-ტყიბულის საავტომობილო გზის ნაკადებზე.

ამდენად სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

6.4. ზემოქმედება ლანდშაფტზე.

როგორც აღნიშნული იყო, აგს განთავსებულია ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის მიმდებარედ. ობიექტი აგებულია 2011 წელს. გასულ პერიოდში აგს-ის ფუნქციონირების შედეგად მოხდა გარემოსთან ადაპტაცია. რეკონსტრუქცია და შემდგომი ექსპლოატაცია ესთეტიკური თვალსაზრისით გარემოს გააუმჯობესებს. ობიექტის მოწყობა ხელს შეუწყობს არსებული გარემოს, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული სივრცის, ნაწილობრივ ესთეტიკურ მოწესრიგებას. ასევე ვიზუალური თვალსაზრისით დადებითად აისახება არსებულ ლანდშაფტზე.

6.5. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. ობიექტის წყალმომარაგებისათვის მოეწყობა მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭაბურღილი, რომელზეც აღებული იქნება ლიცენზია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორც მე-5 პარაგრაფშია აღნიშნული, ობიექტის მოთხოვნილება წყალზე შეადგენს წელიწადში 105,85მ³, დღეში მაქსიმალურად საჭირო იქნება 0,3მ³-მდე წყლის აღება, რაც ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მიწისქვეშა ჰორიზონტზე. ამასთან, წყალსარგებლობა განხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე, სალიცენზიო პირობების სრული დაცვით, რომლის გაცემა და სალიცენზიო პირობების დადგენა მოხდება წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წინასწარი შესწავლისა და გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე.

საწარმოს საოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან.

ავტოგასამართის ტერიტორია გადახურულია, საწარმოო მოედანზე არ მოხდება ატმოსფერული ნალექების წყლის მოხვედრა. საწარმოო მოედნის გარშემო მოეწყობა შემკრები არხი. ავტომანქანების გამართვის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს მოედანზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ჩანარეცხი წყალი შეიკრიბება ზემოაღნიშნული არხით და მიეწოდება ნავთობდამჭერს. გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში, სათანადო გაწმენდის შემდეგ, საათში 0,036მ³-ის ოდენობით.

საწარმოს რეკონსტრუქციის დროს ზედაპირული და გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იქნას სამშენებლო ტექნიკიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვით, ან/და ტერიტორიიდან ნარჩენების გაფანტვით, აღნიშნული შესაძლებელია ექსპლუატაციის ეტაპზეც. უსაფრთხოების წესებისა და ნარჩენების მართვის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

ამდენად, ობიექტის რეკონსტრუქცია-ფუნქციონირების დროს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

6.6. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ობიექტზე ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია როგორც რეკონსტრუქციის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე.

რეკონსტრუქციის ეტაპზე, დამატებითი ავზების მოწყობისათვის საჭიროა მიწის ექსკავაციის სამუშაოები, წარმოქმნილი გრუნტი გამოყენებული იქნა ტერიტორიის მოსასწორებლად, ხოლო ზედმეტი გრუნტი გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას ნაგავსაყრელზე განსათავსებლად. დამხმარე სათავსოების მშენებლობისა და მონტაჟის პროცესში შესაძლებელია წარმოიქმნას მცირე რაოდენობით ლითონის ნაჭრები, სამშენებლო მასალების შესაფუთი მასალები, რომლებიც მშენებლობის ორგანიზების პროცესში შეგროვებული იქნება ცალ-ცალკე. ლითონის ჯართი ჩაბარდება ჯართის შემგროვებელ პუნქტებს. მყარი არასახიფათო ნარჩენები, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას. მუნიციპალური ნარჩენების გადაცემაზე გაფორმებულია ვადიანი ხელშეკრულება.

როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

აგს-ზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. ნარჩენების ცალკე სათავსოს მოწყობა გათვალისწინებულია რეკონსტრუქციის პროექტით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე.

აგს-ზე სულ დასაქმდება 4 ადამიანი. შესაბამისად წლის განმავლობაში მუნიციპალური ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა იქნება $4 \times 0,73 = 2,92 \text{ მ}^3$, რომელიც გატანილი იქნება ტყიბულის მუნიციპალური სამსახურის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალები, ფილტრები, ნავთობდამჭერის ლექი) დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე დახურულ სათავსოში. ნარჩენების აღდგენის ან განთავსების მიზნით, ისინი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

6.7. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედება

ავტოგასამართის რეკონსტრუქციის სამუშაოები განხორციელდება იგივე მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც ფუნქციონირებს 2011 წლიდან. არსებული მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენარჩუნებული არ არის, ტერიტორიის უმეტესობა დაფარულია მყარი საფარით, დანარჩენი მოშანდაკებულია ღორღით. ამდენად პროექტის განხორციელებით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რეკონსტრუქციის ეტაპზე არაპირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია, თუ სამუშაოების შესრულებისა და ტექნიკის გადაადგილების დროს დაცული არ იქნება ტერიტორიის

საზღვრები, ნარჩენების მართვის წესები, რაც კატეგორიულად გამორიცხულია, რადგან საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ განთავსებულია კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთები, რომლებიც განსახილველი ნაკვეთიდან იზოლირებულია ღობეებით.

რეკონსტრუქციის სამუშაოების წარმოებისა და ობიექტის ექსპლუატაციის დროს მკაცრად იქნება დაცული გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები, შედეგად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

6.8. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

საპროექტო ტერიტორიაზე ხე მცენარეები არ არის განთავსებული, ამიტომ ობიექტის რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროცესში არ მოხდება მცენარეების მოჭრა, ცხოველთა და ფრინველთა საარსებო გარემოს მოშლა.


საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ნაკვეთებზე ხე-მცენარეები დარგულია ან ამოსულია ღობეების ან გზის გასწვრივ, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია აკაციისა და გლედიჩიას ხეებით, მაცვლისა და ეკალიძის ბუჩქებით, ერთ და მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეებით. ტერიტორიის სიახლოვეს წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები, ან კონსერვაციული ღირებულების ეგზემპლარები არ დაფიქსირდა.

ტერიტორიის ირგვლივ არსებული ფრინველთა და ცხოველთა სახეობები შეგუებული არიან ანთროპოგენურ გარემოსთან ბინადრობას, ამიტომ მათზე დამატებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

აგს-დან სამხრეთით 215 მეტრში განთავსებულია N44692 და N44695 ტყის კონტურები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით 300 მ-ში-N60222 ტყის კონტური (ნახაზი 10). დაცილების მანძილიდან გამომდინარე აგს-ს რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროცესი ვერ მოახდენს მათზე რაიმე გავლენას.

საპროექტო ობიექტის 500 მეტრიან რადიუსში დაცული ტერიტორიები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის განთავსებული, შესაბამისად მათზე რაიმე გავლენა მოსალოდნელი არ არის.

აგს-დან უახლოესი ისტორიული ძეგლი, გელათის მონასტერი პირდაპირი გზით დაშორებულია 3 კმ მანძილით. აღნიშნულისა და დაგეგმილი საქმიანობის მცირე მასშტაბის (სიმძლავრის) გამო, ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას გელათის კომპლექსზე.



ნახაზი 10. ტყის კონტურები.

6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (4 ადამიანი), ობიექტზე დასაქმებული იქნება ადგილობრივი მცხოვრები, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დაგეგმილი საქმიანობა (ავტოგასამართი, მარკეტი, სველი წერტილები, ავტო სამრეცხაო) დადებითად აისახება ასევე გზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

ი/მ ავთანდილ კვიციანი ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც ასევე დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

6.10. კუმულაციური ზემოქმედება.

განსახილველი ობიექტის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის მოქმედი ობიექტი არ არის. უახლოესი მოქმედი აგს დაშორებულია 1000 მ-ზე მეტი მანძილით. ამისა და საპროექტო ობიექტების პარამეტრების გათვალისწინებით ადგილი არ ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას.

6.11. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და სამშენებლო დანადგარების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები, თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება სათანადო უსაფრთხოების ნიშნები. ავტომატების გადაადგილების სიჩქარე შეზღუდული იქნება 10 კმ/სთ-მდე. ავტოგასამართი აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

6.12. ავარიული რისკების მართვა

ავარიების რისკების მინიმიზაციის მიზნით აუცილებელია წინასწარ გატარდეს შემდეგი პროფილაქტიკური ღონისძიებები:

1. საწარმოში გამოყენებული ყველა მანქანა-მექანიზმი სისტემატიურად უნდა შემოწმდეს გამართულობაზე. გამართულობის კონტროლი სასურველია როგორც მუშაობის დაწყების წინ და ისე ექსპლუატაციის პროცესში.
2. ავტოგასამართის ყველა უბანზე უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების დაცვის პერიოდული ინსპექტირება;
3. რომელიმე ტექნოლოგიური მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს მყისიერი რეაგირება;
4. სისიტემატიურად ჩატარდება უსაფრთხოების წესების დაცვის ინსტრუქტაჟი.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება უნდა მოხდეს წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

ავარიულ სიტუაციების დროს უმთავრესია სიტუაციის სწორად შეფასება, დროული რეაგირება, საჭიროების შემთხვევაში შეტყობინება ავარიის შესახებ და დაშავებულის პირველადი დახმარება.

ავტოგასამართი სადგურები უნდა დაემორჩილონ შემდეგ წესებსა და მოთხოვნებს.

1. ავტოგასამართ სადგურებზე და კომპლექსებზე უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა;
 - ბ) უახლოესი წყლის წყაროების გეგმა-სქემა მანძილების და წყლის წყაროების დებიტების აღნიშვნით;

- გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ტერიტორიიდან ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციის გეგმა;
- დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები;
- ე) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მეხამრიდ სისტემებზე ჩატარებული სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი.
2. ავტოგასამართი სადგურების საწვავის რეზერვუარების საწვავით შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მათი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს. წვადი აირების რეზერვუარების შევსების დონე მიწისქვეშა განლაგების დროს არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს, ხოლო მიწისზედა განლაგებისას - 85%-ს.
3. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ძირითად და დამხმარე ტექნოლოგიურ მოწყობილობებს უნდა ჰქონდეთ დაცვა სტატიკური ელექტროობისაგან.
4. ტექნოლოგიური ჭების ლუკების ხუფები, ავტოგასამართი სადგურის კარები და ლუკიები, უნდა იყოს ნაპერწკალუსაფრთხო.
5. ავტოგასამართ სადგურებზე და კომპლექსებზე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისას საჭიროა შემდეგი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა:
- ა) მოტოციკლებისა და მოტოროლერების ძრავას ამოქმედება და გამორთვა უნდა ხდებოდეს საწვავ-სარიგებელი სვეტიდან არანაკლებ 15 მ მანძილზე, ხოლო ავტომობილები უნდა მოძრაობდნენ თავისი სვლით;
- ბ) დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს სორბენტით. სორბენტი და გაზეთილი საწმენდი მასალები უნდა შეგროვდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფების მქონე ლითონის ყუთებში და შევსებისთანავე გატანილ იქნას ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან;
- გ) მანძილი გასამართ ავტომობილსა და მის უკან მდგომ ავტომობილს შორის უნდა იძლეოდეს უსაფრთხო მანევრირების და ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობას;
- დ) საწვავის ჩასხმა მინის ან პოლიეთილენის ტარაში ანტისტატიკის გარეშე აკრძალულია.
6. ავტოგასამართ სადგურებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე მოძრავ ავტოგასამართ სადგურებზე დაუშვებელია:
- ა) ძრავაჩართული სატრანსპორტო საშუალებების გამართვა;
- ბ) მიწისქვეშა რეზერვუარებზე სატრანსპორტო საშუალებების გადატარება, თუ ეს არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიური სისტემების ტექნიკური პირობებით და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციით;
- გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეზერვუარების საწვავით შევსება და მომხმარებელზე გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების არსებობის დროს;

- დ) სამუშაოების ჩატარება, რომლებიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ავტოგასამართი სადგურის მოწყობილობის, შენობა-ნაგებობების შეკეთებასთან;
- ე) საწვავ-სარიგებელი სვეტიდან გამართვა, თუ მათთან ტექნოლოგიური მილსადენებით დაკავშირებულ რეზერვუარებში ხორციელდება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციები.
- ვ) სარემონტო და საცეცხლე სამუშაოების განხორციელება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩატარების ადგილიდან 20 მეტრის რადიუსში;
- ზ) ავტოტრანსპორტის მოძრაობა ავტოცისტერნის მოედანზე ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ან ტექნოლოგიური ჭების სახურავების გახსნის დროს;
7. დაუშვებელია მოძრავი ავტოგასამართი სადგურებად ავტოსაწვავგასამართების და სხვა ამ მიზნებისათვის გაუთვალისწინებელი ტექნიკის გამოყენება.
 8. არასამუშაო საათებში ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ელექტრომოწყობილობა, რომელიც არ გამოიყენება უსაფრთხოების სისტემებში, უნდა გაუდენურდეს ელექტროენერჯის ძირითადი ამომრთველების გათიშვით.
 9. დაუშვებელია ფეთქებადსაშიშ ზონებში იმ ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია, რომელსაც არ გააჩნია ქარხანა-დამამზადებლის აფეთქებისაგან დაცვის სპეციალური ნიშნები.
 10. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ტერიტორიაზე, შესასვლელთან, უნდა იყოს გამოკრული ტერიტორიაზე მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. შემსვლელი და გამომსვლელი ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტები არ უნდა იკვეთებოდეს.
 11. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსებისათვის ცეცხლმაქრის ტიპის შერჩევა და საჭირო რაოდენობა უნდა განისაზღვროს მათი ცეცხლმაქრი თვისებებიდან, აგრეთვე სათავსის ფართობიდან, წვადი ნივთიერებებისა და მასალების ხანძრის კლასიდან გამომდინარე ამ ტექნიკური რეგლამენტის №7 დანართის №5 ცხრილის მოთხოვნების გათვალისწინებით.
 12. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსების მომსახურე პერსონალს და ავტოცისტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ უნდა ჩაუტერდეს ტრენინგები ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, თითოეული კონკრეტული სიტუაციის გავარჯიშებით და შესაბამისი შედეგების სპეციალურ ჟურნალში დარეგისტრირებით.
 13. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია. მძღოლებისა და მგზავრების სერვისული მომსახურების შენობებსა და სათავსებში თამბაქოს მოსაწევად დასაშვებია სპეციალური ადგილების მოწყობა.

7. დანართები

დანართი1: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მაქსის (უძრავი ქონების) საკლასიფიკაციო კოდი N 39.07.26.114

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021329020 - 26/04/2021 13:38:31

მომზადების თარიღი
10/05/2021 20:40:16

საკუთრების განყოფილება

ზონა გციბული	სექტორი კურსები	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიბი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსკებელი ფართობი: 600.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:39.07.01.003; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი:NI შენიშვნა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 59.06
39	07	26	114	

მისამართი: რაიონი გციბული , სოფელი კურსები

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020679584 , თარიღი 21/09/2020 16:39:45
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/11/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება (სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის აღვალზე დათვალეირების ოქმი N00505) N47 1671 , დამოწმების თარიღი:03/11/2020 , გციბულის მუნიციპალიტეტის მერია
- უძრავი ნივთის ნახილობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:12/08/2020 , საქართველოს ოსტაციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

ავთანდილი კვიციანი,P/N: 60001006205

მესაკუთრე:

ავთანდილი კვიციანი

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021329020 თარიღი 26/04/2021 13:38:31 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/05/2021 საგადასახადო გირაუნობა: რეგისტრირებული არ არის	იპოთეკარა საბაქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869; საგანი:დამუსკებელი ფართობი: 600.00 კვ.მ. შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი:NI შენიშვნა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი:59.06; იპოთეკის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი NCAH000492171, დამოწმების თარიღი26/04/2021, საქართველოს ოსტაციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
---	---

დანართი 2. რეკონსტრუქციის პროექტი

